ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 186

"25" ივნისი 2019 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, სარაჯიშვილის გამზირი №4-ში მდებარე 3494 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.04.026.010) სს „სარაჯიშვილისთვის" (ს/კ: №209444065) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 15 ივლისის №20.30.844 დადგენილებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან სს „სარაჯიშვილის" (ს/ნ: 209444065) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტის და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და სს „სარაჯიშვილს" (ს/კ: 209444065) შორის განსახორციელებელი რიგი ღონისძიებების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 12 ივნისის N19.649.858 განკარგულების შესაბამისად, „ქ. თბილისში, სარაჯიშვილის გამზირი N4-ში მდებარე 3494 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.010) სს „სარაჯიშვილისთვის" (ს/კ: N209444065) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 15 ივლისის N20.30.844 დადგენილებით განსაზღვრული საიჯარო პირობების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის, საიჯარო პირობების 12.1 პუნქტის საფუძველზე, დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან სს „სარაჯიშვილის" (ს/ნ: 209444065) გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე